


აღურიცხველი საქონლის გამოვლენის დაბეგვრა 2612



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს „X“ მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

ანოტაცია
„აღურიცხველი საქონლის გამოვლენის დაბეგვრა“ №2612
სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს აღურიცხველი საქონლის გამოვლენის მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „X“-ს საგადასახადო ორგანოს მიერ 2017 წლის აპრილის თვეში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოუვლინდა სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი საქონელი 50 000 ლარის ოდენობით, რომელზეც არ გააჩნდა პირველადი საგადასახადო დოკუმენტი.

გადასახადის გადამხდელს მოგების გადასახადში არ განუხორციელებია ინვენტარიზაციის შედეგებზე საგადასახადო ანგარიშგება.

სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- ა) განაწილებული მოგება;
- ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- დ) სსკ-ით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზე არ არის მოგების გადასახადით დაბეგვრის ზემოაღნიშნული ობიექტები, პირს არ წარმოეშობა სააღრიცხვო დოკუმენტაციაში აღურიცხველი საქონლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება.